ხელშეკრულება № 274

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი „26" სექტემბერი 2011 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის ქ. №24ა, ტელეფონი: 240-51-84, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ს/კ – 203845349), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის **გოგა გუგავას** სახით და **შპს „ორიენტ ლოჯიკი"** (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №91ა, ტელეფონი: 254-18-18, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE67PC0243600100009528, სს „პროკრედიტ ბანკი" კოდი: MIBGGE22, ს/კ – 202052054), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი კომერციული დირექტორის **ალან სანაკოევის** (სანოტარო მოქმედების ინდ. ნომერი: 70613809732011; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 110882791)სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული პორტატული კომპიუტერის (CPV-30213100) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1404.00 (ათას ოთხას ოთხი) ლარს**.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული პორტატული კომპიუტერის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასალის ქ. №24ა;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე გონივრულ ვადებში უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის საგარანტიო ვადა

5.1 ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული პორტატულ კომპიუტერზე გარანტია ვრცელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

5.2 ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში საგარანტიო პერიოდიში საქონლის მწყობრიდან გამოსვლისას შემსყიდველი წერილობითი ფორმით (მ.შ ელექტრონულ მისამართზე: support@orient-logic.com) აცნობებს ხარვეზის აღმოფხვრის საჭიროების შესახებ "მიმწოდებელს". წერილის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა "მიმწოდებელი ახდენს რეაგირებას." მომსახურების საგნის სერვისულ ცენტრში მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში "მიმწოდებელი" ადგენს დეფექტურ აქტს, რომელიც შეიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. ხარვეზის აღმოფხვრა ხორციელდება საშუალოდ 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები "მიმწოდებელს" აქვს ადგილზე (საწყობში). წინააღმდეგ შემთხვევაში 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3 თუ ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში საგარანტიო პერიოდიში საქონლის მწყობრიდან გამოსვლისას მიმწოდებლის მიერ მისი შეკეთება შეუძლებელი გახდება, მიმწოდებელი ვალდებულია 5.2 პუნქტში მითითებული ვადების ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში ჩაანაცვლოს დაზიანებული საქონელი ახლით.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს.

6.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის **გოგა გუგავას** სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასალის ქ. №24ა, **ტელეფონი:** 240-51-84, **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ს/კ – 203845349	**შპს „ორიენტ ლოჯიკი",** წარმოდგენილი დირექტორის **ალან სანაკოევის** სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №91ა, **ტელეფონი:** 254-18-18, **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №GE67PC0243600100009528, სს „პროკრედიტ ბანკი" კოდი: MIBGGE22, ს/კ – 202052054

დანართი №1

№	საქონლის დასახელება	საქონლის აღწერილობა	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6	7
1	პორტატული კომპიუტერი HP ProBook 4730s (LH348EA)	Intel Core i3-2310M (2.10 GHz, 3MB cache, Dual Core); Mobile Intel HM65 Express; 17,3" LED HD+anti-glare 1600x900; 720p HD integrated webcam; 4GB DDR3-1333; AMD Radeon HD 6470M with 1 GB dedicated GDDR5 video memory; SRS Premium Sound, Stereo Speakers; 640Gb 5400rpm; 8x DVD+RW; LAN (Ethernet 10/100/1000); Atheros 80211b/g/n and Blootooth 3.0 + HS Combo; 4 USB 2.0, VGA, mic in, line out, HDMI 1.3, AC Power, RJ-11, RJ-45; ¡ExpressCard/34 slot, Media Card Reader; SUSE Linux Enterprise 11; Li-ion battery 8 Cell; 2.9kg; 41/28/2.9cm.	ცალი	1	1 404.00	1 404.00
					სულ:	1 404 ლარი

შემსყიდველი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
გოგა გუგავას სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის ქ. №24ა,
ტელეფონი: 240-51-84,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
ს/კ – 203845349

მიმწოდებელი

შპს „ორიენტ ლოჯიკი“,
წარმოდგენილი დირექტორის
ალან სანაკოევის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №91ბ,
ტელეფონი: 254-18-18,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE67PC0243600100009528,
სს „პროკრედიტ ბანკი“ კოდი: MIBGGE22,
ს/კ – 202052054

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2011 წლის 20 სექტემბერი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, პორტატული კომპიუტერი HP ProBook 4730s-ის შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს „ორიენტ ლოჯიკ"-თან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი ---------- გოგა გუგავა